საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-648

10/05/2021

ქ. თბილისი

„სს „იორი ენერჯის“ „მდ. იორზე, 7.4 მგვტ სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის („პალდო“ ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აპრილის N2-323 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

„სს „იორი ენერჯის“ „მდ. იორზე, 7.4 მგვტ სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის („პალდო“ ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციის პროექტზე“ სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აპრილის N2-323 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა N35 (28.03.2019).

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, თუ საქმიანობის განმახორციელებელი სკოპინგის დასკვნის დამტკიცებიდან 2 წლის ვადაში ვერ მიიღებს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას ამ კოდექსით გათვალისწინებული პროცედურების შესაბამისად, სკოპინგის დასკვნის დამტკიცების შესახებ მინისტრის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი ძალადაკარგულად ცხადდება.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის მე-7 ნაწილის და „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სს „იორი ენერჯის“ „მდ. იორზე, 7.4 მგვტ სიმძლავრის დერივაციული ტიპის ჰიდროელექტროსადგურის („პალდო“ ჰესი) მშენებლობასა და ექსპლუატაციის“ პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 15 აპრილის N2-323 ბრძანება;
2. ამ ბრძანების ასლი გაეგზავნოს სს „იორი ენერჯის“;
3. ბრძანება ძალაში შევიდეს სს „იორი ენერჯის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
4. ბრძანების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული ბრძანება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თიანეთისა და საგარეჯოს მუნიციპალიტეტების აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოების საინფორმაციო დაფებზე;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12

კმ. №6), მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი